რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 325/თ

14 სექტემბერი, 2017 წელი
ქ. რუსთავი

საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების პროგრამის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-4 მუხლის მე-6^1 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმის წინასასამართლო სხდომის მოსამართლის შერჩევის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პირველი წარდგენის სხდომის დამთავრებისთანავე გარკვეული ინფორმაცია მიეწოდოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას, რათა მიწოდებული ინფორმაცია აისახოს პროგრამაში და მოხდეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნილიდან გამომდინარე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „ვ“ „ო“და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოს დაევალოს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის დამთავრებისთანავე რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარუდგინონ მოხსენებითი ბარათი, რომელშიც სავალდებულოდ ასახული იქნება შემდეგი ინფორმაცია:
   ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;
   ბ) გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმის ნომერი;

გ) შერაცხული ბრალდების კვალიფიკაცია;
დ) წინასასამართლო სხდომის თარიღი და დრო;
ე) სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახე;
ვ) პირველი წარდგენის სხდომის განმხილველი მოსამართლის სახელი და გვარი;
ზ) შუამდგომლობის წარმომდგენი პროკურატურის დასახელება და პირველი წარდგენის სხდომაში მონაწილე პროკურორის სახელი და გვარი.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაციის შემცველი მოხსენებითი ბარათის მომზადება და კანცელარიისთვის წარდგენა დაევალოს ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის განმხილველი მოსამართლის თანაშემწეს და მაგისტრატი მოსამართლის სხდომის მდივანს, მათი მხრიდან ამ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ამ მოვალეობას ასრულებს პროცესში მონაწილე სასამართლო სხდომის მდივანი.

3. მოხსენებით ბარათში ასახული ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველსაყოფად სასურველია მოხსენებითი ბარათი დამოწმდეს მოსამართლის ხელმოწერით.

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამრთლეებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ მოსამართლეს და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე